



10.11.2017

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მეოთხე სამუშაო ჯგუფის  
სხდომის ოქმი №1

1. მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ლევან გზირიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
რევაზ ნადარაია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ სულაქველიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ხატია შეყილაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ეკა არეშიძე	თბილისის საქალაქო სასამართლო
მირანდა ერემაძე	თბილისის სააპელაციო სასამართლო
დავით ჯაიანი	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა
ანა შალამბერიძე	საქართველოს უზენაესი სასამართლო
შოთა ქარჩავა	სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
ეკა ციმაკურიძე	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
მაია ჩოჩუა	ევროკავშირი
მარიამ მხატვარი	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
ოლიგო შერმადინი	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
ეკა ონიანი	ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი - კანონის უზენესობის მხარდაჭერა საქართველოში
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

## **2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები**

---

- 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სამომავლო გეგმებზე შეთანხმება, ჯგუფის წევრთა შორის ფუნქციებისა და დავალებების განაწილება, მათი შესრულების ვადების განსაზღვრა.

## **3. მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა**

---

2017 წლის 10 ნოემბრის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 7 წევრი: რევაზ ნადარაია, ლევან გზირიშვილი, ეკა არეშიძე, მირანდა ერემაძე, თამარ სულაქველიძე, დავით ჯაიანი და ანა შალამბერიძე. კვორუმი შედგა, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობით მეოთხე სამუშაო ჯგუფის სხდომას შემოუერთდნენ შემდეგი ორგანიზაციის წარმომადგენლები: ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი - „კანონის უზენესობის მხარდაჭერა საქართველოში“, ევროკავშირი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და ინფორმაცია მიაწოდეს ერთმანეთს 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ, განისაზღვრა შესასრულებელი სამუშაოები კონკრეტული ვადების მითითებით.

## **4. მეოთხე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე**

---

მეოთხე სამუშაო ჯგუფის წევრებმა გადაინაწილეს ფუნქციები და შესასრულებელი სამუშაოები 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კონკრეტული აქტივობების მიხედვით. ჯგუფის წევრებს დაევალიათ, რომ მომდევნო სხდომაზე წარმოადგენენ ანგარიშს სსიპ - „საერთო სასამართლოების დეპარტამენტის“<sup>1</sup>, სსიპ - „იუსტიციის უმაღლესი სკოლისა“<sup>2</sup> და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს<sup>3</sup> მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

---

<sup>1</sup> პროგრამა 5.2.3-ის მეხუთე აქტივობა, პროგრამა 5.2.4 და 5.2.5.

<sup>2</sup> პროგრამა 5.1.2 მერვე აქტივობა და პროგრამა 5.2.7-ის მესამე აქტივობა.

<sup>3</sup> პროგრამა 5.2.3-ის მეორე აქტივობა.

## 5. თანდართული დოკუმენტები

---

- მეოთხე სამუშაო ჯგუფის 2017 წლის 9 ნოემბრის შეხვედრის დღის წესრიგი.

*თანამომხსენებლები:*

*ლევან გ ზირიშვილი*

*რევაზ ნადარაია*

*სხდომის მდივანი:*

*ნინო დემურხანაშვილი*